


## ექსპერტი

გიორგი ნოზაძე

### 13 ინსტრუქციები გაკვეთილების დაგეგმვისა და ვიდეოგადაღებისთვის

ეცადეთ, გაკვეთილი ცალკეულ საინტერესო აქტივობათა კრებულიდან ერთიან კონსტრუქტივისტულ დიფერენცირებულ პროცესად აქციოთ.

მაია ფირჩხაძე

### 16 არჩევანის თავისუფლება — სწავლაში წარმატების მიღწევის მოტივი

გაკვეთილზე არჩევანის სიტუაციის შექმნა მოსწავლის ინდივიდუალური სრულყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეთოდია. ამ დროს მოსწავლე არა მარტო რეალურად ირჩევს სასურველ დავალებას, არამედ მასწავლებელიც რეალურად ეხმარება მას – აჩვენებს, რამდენად გამორჩეული და განუმეორებელია.

თამარ მოსიაშვილი

### 24 სკოლის, ოჯახისა და თემის თანამშრომლობის გაძლიერება

როდესაც სკოლის ღიაობასა და თემის ჩართულობაზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია, პასუხი გავცეთ კითხვებს: ვინ უნდა დაიცვას ბავშვის საგანმანათლებლო უფლება? ვინ არის პასუხისმგებელი სკოლაში ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნაზე?

ნინო ლაბარტყავა

### 32 მოზარდების ასაკისთვის დამახასიათებელი სირთულეები/სარისკო ქცევა

რისკიანი ქცევის განხორციელების მიზეზი შეიძლება 5 ფაქტორად წარმოვადგინოთ. ესენია: ბიოლოგია/გენეტიკა, სოციალური გარემო/თემი, უშუალო გარემოცვა, პიროვნული თავისებურებები და თავად მოზარდის ქცევა. აღნიშნული ფაქტორები ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან და განაპირობებენ კიდეც ცხოვრების რისკიან წესს.



## რესურსი

ნინო ქიაბრიშვილი

### 20 სიტუაციური სავარჯიშოები ინტერკულტურული განათლებისთვის

ინტერკულტურული განათლება ერთგვარი პასუხია ყველა ადამიანისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის გამოწვევაზე, რომელიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშია მოცემული:



ნათია ფირცხალავა

### 48 როგორ განვახორციელოთ საინტერესო პროექტი სკოლისათვის

განადგურდა კი საბჭოთა კავშირი? რუკაზე – დიახ, მაგრამ აზროვნებაში? ჩვენს აზროვნებაში? ყოველთვის ვიტყვი: არა, რადგან ადეკვატურად არ შეფასებულა. ვიდრე ეს არ მოხდება (სამწუხაროდ, დასასრულის კი არა, აღორძინების ნიშნებს უფრო ვხედავთ), საბჭოთა კავშირიც იარსებებს, იარსებებს და წინ არ გაგვიშვებს, დაგვაბრკოლებს, ჩამოგვარჩენს.



# შინაარსი



## მოსაზრება


4 მანანა ბოჭორიშვილი

**როგორ ჩავატაროთ საკლასო კვლევა**

პრაქტიკული კვლევა კლასში მასწავლებლის მიერ ინფორმაციის შეგროვებისა და შემდგომი გაანალიზების პროცესია. მის უმთავრეს მიზანს, როგორც წესი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლება, მათი სოციალური და სხვა უნარების გაუმჯობესება წარმოადგენს. ამ მიზნების მისაღწევად მასწავლებლებს შეუძლიათ სხვადასხვა სტრატეგიის დასახვა და სხვადასხვა მეთოდის გამოყენება.






9 მაია ჯალიაშვილი

**საკლასო სივრცე და მასწავლებლის ძალაუფლება**

პედაგოგიური კვლევების მიხედვით, არსებობენ სხვადასხვა ტიპის მასწავლებლები, რომლებსაც კლასის მართვის საკუთარი სტილი და მანერა აქვთ. ბევრი პედაგოგი, ალბათ, არაერთხელ დაფიქრებულა ამ თემაზე და სათანადო დასკვნებიც გამოუტანია. ზოგს, ამ დაკვირვების შედეგად, რაიმეს შეცვლა უცდია და წარმატებითაც გამოსვლია.

43 ანა ჯანელიძე

**განათლება კედლებს მიღმა: ტყის საბავშვო ბაღები**

ბუნება ხელს უწყობს ბავშვების ცნობისმოყვარეობის გაღვივებას. ისინი ადრეულ ასაკში სწავლობენ საკუთარი გამოცდილებით, კვლევისა და აღმოჩენის გზით. სწორედ ბუნება აძლევს ბავშვს უნიკალურ შესაძლებლობას, ინტერესით დააკვირდეს და შეიმეცნოს მრავალფეროვანი გარემო.


## გამოცდილება


36 მარიამ გოდუაძე

**რეცეპტები ინკლუზიისა და პედაგოგიური გამძლეობისთვის**

მოსწავლის ჩართულობა, თანამონაწილეობა საკლასო აქტივობებში, კოგნიტიური და აკადემიური ფუნქციების მომწიფება და განვითარება ის მიზნებია, რომლებსაც სკოლა საგნის პედაგოგთა ძალისხმევითა და სპეციალური მასწავლებლების დახმარებით ახორციელებს.

40 ცვატა ბერძენიშვილი

**როგორ გავუმკლავდეთ კლასში დისციპლინურ პრობლემებს**

ეფექტური მენეჯმენტი არ ნიშნავს ყოველ მცირე დარღვევაზე საჯარო რეაგირებას. ასეთმა საჯარო ყურადღებამ შესაძლოა განამტკიცოს კიდეც ცუდი ქცევა. არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც იმ მასწავლებლებს ჰყავდეთ სანიმუშო კლასები, რომლებიც ხშირად აძლევენ მოსწავლეებს შენიშვნას. მთავარია გაცნობიერება, რა ხდება და ცოდნა, რისი გაკეთებაა საჭირო პრობლემის პრევენციისთვის.

53 ნინო ლომიძე

**საინფორმაციო ტექსტის დამუშავება დაწყებით საფეხურზე**

არამხატვრული, საინფორმაციო-შემეცნებითი, ენციკლოპედიური ტექსტების კითხვა, გაგება და გააზრება თანამედროვე ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი უნარია. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, საშუალო სკოლებში ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებით საფეხურზე იწყება.


